

მთელ რიგ შემთხვევაში საცდელ-საჩვენებელ მეურნეობათა სპეციალისტები გამოყენებული არიან ისეთი სახის დეალებათა შესასრულებლად, რომლებსაც საცდელ-საჩვენებელ მეურნეობათა საქმიანობასთან საერთო არა აქვთ რა. საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის დამატებითი შტატი ზოგიერთ შემთხვევაში დაწესებულია მეურნეობის საწარმოო პროფილის მხედველობაში მიუღებლად. (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალებიდან).

№ 2 თბილისი იანვარი 1962

ქრონიკალი
საქართველო

ნიაშ

გამოცემის XXXX წელი, ზანი 20 კაპ.





ნახ. ე. ბერძენიშვილისა

— შაქრო, შეხედე ჩვენი მეურნეობის ვეტექიმი სათამაშო ცხენით ერთობა!
— მაშ რა ჰქნას, მეურნეობაში საქმე არ აქვს და...



გულზე მიღვადანაყარი ქუჩა საბრალო — საყარი.



გზა მოგვეცა, ქუჩავე წგრეულო, ვულკანად ამოფრქვეულო!



ჩვენს მშვენიერ დედაქალაქში ქუჩებმა უამრავი რეკონსტრუქცია განიცადეს, სანამ ახლანდელ სახეს მიიღებდნენ.

იყო ხარის კუდივით მრუდე და გაუმართავი, მოვიდნენ გზის მშენებლები, გადათხარეს, გამართეს, მოასხეს ასფალტი.

მეტულუნჩეები ამარაგებდნენ თბილისს, — წყალი სჭირათო მცხოვრებლებს, — თქვეს წყალგაყვანილობის მუშაკებმა, — აყარეს ასფალტი, გადათხარეს ქუჩები, ჩაყარეს მიწები, აჩუხჩუხდა წყალი, დააგეს ასფალტი.

— უტელეფონოდ როგორ შეიძლება ცხოვრება, — განაცხადეს კავშირგაბმულობის მესვეურებმა, — ისევ მიადგნენ ქუჩებს, აყარეს ასფალტი, დაღარეს მიწა, ჩააწყვეს მავთულები და დააგეს ასფალტი.

— ნიაღვრიანიო ქალაქი, — თქვა ქალაქის საბჭომ, — ნიაღვარმიმღებიაო საჭირო, — აიყარა ასფალტი, გაკეთდა ნიაღვარმიმღები. ისევ დააგეს ასფალტი.

— გაზი სჭირდებაო ქალაქს, — დაბეჭითებით მოითხოვეს ინჟინერის მუშაკებმა, — აყარეს ასფალტი, თხრილებით დასერეს ქუჩები, ჩააწყვეს უშველებელი მიწები და ავიზვიზდა პრომეთეს ცეცხლი.

სიმღერით რომ გამოხატულიყო ქუჩების ამდენი ვაება, ვინ იცის, რამდენი ქუჩა შემოსძახებდა „თავო ჩემო, ბედი არ გიწერიას“-ს. ვინ იცის, ასფალტის ამ აყრა-დაგებაში რამდენი წვა და დაგვა განიცადეს ქუჩების ხელახალი კეთილმოწყობის მოლოდინით გულგალეულმა მცხოვრებლებმა.

ინჟინერის მუშაკებმა ქუჩებისადმი ჭრილობების მიყენებაში ყველას გადააჭარბეს. ეს არ იკმარეს და შეუდგნენ ერთიმეორის გადაჭარბებას.


ასე, მაგ., ინჟინერის № 4 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ნ. მღებრიშვილმა შეჯიბრებაში გამოიწვია № 3 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ასათიანი. მღებრიშვილმა ყოველგვარი ნებართვის გარეშე გადათხარა ბარნოვის ქ. № 104, 106, ნაფარეულის ქ. № 7, პეტრიაშვილის ქ. № 9, ფალიაშვილის ქ. № 16. ამონათხარი მიწა მოხერხებულმა უფროსმა ქუჩებშივე დატოვა და ერთ დროს კეთილმოწყობილი ქვაფენილი თავისი ხელით გათხრილ სამარეში ჩამარხა.

№ 3 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელმა ი. დუგლაძემ რიგის ქუჩაზე ზემოთ აღნიშნულ სიკეთეს ისიც დაუმატა, რომ გაწყვიტა წყალსადენის 25 მილიმეტრიანი სამი შტო.


ასეთივე კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა შეჯიბრება ინჟინერის № 2 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა გ. პეტრიაშვილმა. მან პავლოვის ქუჩის ბოლოში ვაჟა ფშაველას გამზირთან შემაერთებელი გზა გათხარა და თხრილი დღესაც თავახდილ სამარესავით ღიაა. ასეთივე მდგომარეობაა ბერბუქისა და მგალობლიშვილის ქუჩებზე.

სამმართველოებს შორის ჩატარებულ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა თბილგაზის სამუშაოთა მწარმოებელმა ნ. ნეფარიძემ, რომელმაც ყოველგვარი ნებართვის გარეშე გადათხარა ტაშკენტის ქუჩის № 13 სახლის წინა მონაკვეთი.

ქუჩების წარამარა გადათხრა-აოხრებაში თავისი წილი ღვაწლი „თბილქალაქროექტის“ მუშაკებსაც მიუძღვით. ვთქვათ და გააჭრევენეს რომელიმე ქუჩა სიგრძივ, დაამთავრებინეს სამუშაოები, ახლა დროგამოშვებით მიადგებიან იმა-



შესთხოვენ მიწას აყალოს: გაღვევი, მთაო მაღალო!



ბარ-ნიჩბით, ექსკავატორით, გადათხარეს და დატოვეს.

ვე ქუჩას და შესახვევებისა და ცალკეული სახლების შესაერთებლად განივი ჭრილებით დასერავენ, და ეს პროცესი რაღაც დაუსრულებელის სახეს იღებს.

ასეთი უნებართვო და უთავბოლო „მოღვაწეობის“ კვალი აზით კომბაინის, მგალობლიშვილის, კანდელაკის თუ სხვა ქუჩებს.

საკითხავია, როდის მოასვენებენ თბილისის ქუჩებს, რომ უგეგმო მუშაობით ერთი და იმავე საქმისათვის ათჯერ არ დაუსერონ გული.

**კახელიშვილი
მარაუოტი.**

წარმოდგინეთ როგორ უნდა გაუჭირდეს კაცს, რომ მისი ფეხით მივიდეს სა-
ავადმყოფოში, მუხლებში ჩაუვარდეს ექიმს და შეეხვეწოს ან ასლავე გამოშვიგნე ან
აქვე დავიკლავ თავს, მაგრამ რომ ლანცეტი გიდევს იმით. მე მგონი ძალიან უნდა
გაუჭირდეს. სწორედ ასე მოუვიდა ჩემს მეუღლეს, დაფრევე სასწრაფოში.

— წამოდით და შემოგვუბნებითო! — მიბასუხეს.

ჯერ ჩემმა ცოლმა და მე მივაბაღველეთ ქალაქის პირველი საავადმყოფოს კარებს
და მერე სასწრაფო დახმარებამ, შეგვიშვეს. გაგვსინჯეს. ჩემს ცოლს მრავალწახნა-
გოვანი ფიბროზა აღმოაჩნდა, მე — ათი შაური.

— ხვალვე უნდა გაუკეთოთ ოპერაცია! — თქვა ექიმმა.

— დღესვე გაუკეთეთ, ბატონო! — ეთქვი მე.

— მე აღარ შეკითხვებით? — თქვა ჩემმა ცოლმა.

— თქვენ არავინ გეკითხვბათ. — თქვა ექიმმა.

— გადავრჩები? — ისევ იკითხა ჩემმა ცოლმა, — შე ექიმს მუდარით შეგხედე.

— მაგას ოპერაციის შემდეგ გავიგებთ! — გაამხნევა ექიმმა.

— მთხოვეთ, რაც ვინდათ, ექიმო! — გავიქაჩე მე.

— მომიტანეთ ეთერი! — დამავალა ექიმმა.

— რომელი ეთერი, ბატონო! — გამიკვირდა მე.

— რომელი და, აბესალომ და ეთერი. იშოვეთ ეთერი, ეფირი, ნარკოზი. გა-
საგებია?

— თქვენ არ გაჭვთ?

— აბა გვაქვს და ვმალავთ?

— სად ვიშოვო, ბატონო?

— სადაც ვინდა! — დამრთო ნება ექიმმა.

— მაღლობელი ვარ, ბატონო.

წამალი რომ აფთიაქში უნდა იშოვოს კაცმა, ეს ყველამ იცის, ვისაც ავადმყოფი
ჰყოლია და ამიტომ საავადმყოფოდან პირდაპირ აფთიაქში წავედი. რომელში?
ყველაში.

— გამარჯობათ, ქალბატონო! — მივმართე რეცეპტების კითხვაში გართულ
მანდილოსანს.

— რა ვნებათ? — მკითხა მან.

— ძალიან მიჭირს, ბატონო, ჩემს მეუღლეს მრავალწახნაგოვანი ფიბროზა აქვს
და...

— კი ექნება, ახლა ძალიან გავრცელებულია მაგი...

— პოდა, დამეხმარეთ უნდა...

— ქირურგს მიმართეთ.

— არა, ქალბატონო, მე ეთერი მინდა.

— ეთერი ქუთაისშია!

— სირცხვილი არაა, კაცო, მთელი თბილისი მოვიარე, არსად არ არს, ახლა
ქუთაისში ვეძებთ? — შევვარცხვინე აფთიაქის თანამშრომელი.

— რა არის, ამხანაგო, სირცხვილი! ქალი დეკრეტულ შეგებულებაშია წასული.

— გამიჯავრდა ქალბატონი.
— არა, ქალბატონო, მე ეთერი მინდა, ეფირი, ნარკოზი. — გამოვასწორე შე-
ცდობა.

— მერე, არ გრცხვენია, შე კაცო? სერიოზულ კაცს გაგხარ და აფთიაქში მო-
დინარ ეთერისთვის?!

— ბოდიში, ქალბატონო, მეორეჯერ აღარ, დამეხმარება ასეთი სისულელე,
ოღონდ ახლა მასწავლეთ სად წავიდე.

— ლესელიძის ქუჩაზე, სპეკულანტებში, ბატონო, მაგი აღარ იცით? — ისე
მკითხა იმ ქალმა, რომ მოვეკვი სირცხვილით.

ლესელიძის ქუჩაზე ეთერის კი არა, აფთიაქს იშოვი თავისი წამლებით, ფული
თუ გაქვს. რა თქმა უნდა, ვიშოვე, მივიტანე საავადმყოფოში, გააკეთეს ოპერაცია
და გადარჩინეს ჩემი ცოლი. ოთხი საათის მერე გაიღვიძა ოპერირებულმა და მე
მიკითხა.

— ავადმყოფთან პატრონი არ დაიშვება! — უთქვამთ მისთვის.

— აბა ასე უპატრონოდ მოგკვდებ? — დაუკნავლია ჩემს ცოლს.

— ნუ გეშინია, ჩვენ დაგესწრებითო. — დაუმშვიდებიათ იგი.

მეოთხე დამით დიდად შეურაცხყოფილ დარაჯს ძალით ჩავუკუჭე მანეთი ჯიბე-
ში და ცოლთან ავევარდი.

— ვკვდებით! — მითხრა რომ დამინახა.

— გაუძელი! — ვთხოვე მე.

— ნანემსარი მტკივა მკლავზე და ბარძაყზე ოთხი დღეა და მიშველე რამე...

დავუძახე ექთანს და ვთხოვე დაადეთ კომპრესი ამ გაჭირვებულს შესიებულ
ადგილებზე-მეთქი.

— კომპრესის ქალაღი არ გვაქვს! — თქვა ექთანმა.

— რაო? — ვიკვირე მე.

— გაგვითავდა, ამხანაგო და ნუ ბღაგი! — დამამშვიდა ექთანმა.

გავვარდი აფთიაქში.

— არიქა კომპრესის ქალაღი!

— ვნახავთ, თუ გვაქვს! — ეძებეს, ეძებეს და ძლივს იპოვეს.

— ეს ერთი ფურცელი გვაქვს, როგორ გაგატანოთ? — აუკანკალდა ხელი აფ-
თიაქარს.



— მომიხიეთ პატარა და გადაგიხდით სამაგიეროს. — ავტირდი მე. მომიხიეს,
გავვარდი და საავადმყოფოში მივევარდი.

— სპირტი არ გვაქვს კომპრესისთვის. — გამაღიმა მორიგემ.

— სად ვიშოვო ახლა სპირტი?

— გაიქვეცი აფთიაქში!

— არაყიც შეიძლება! — გადამარჩინა მერე ექთანმა.

— კონიაკი არ შეიძლება? — მოვიქაჩე თავი.

— კონიაკიც შეიძლება! — ისევ გავვარდი.

— მოიცა, სად მიდიხარ! ბინტიც წამოიშვანე! — დამაბრუნა ექთანმა.

— ბანბა გაქვთ? — ვკითხე მე.

— ბამბას სადმე აქ ვიშოვიო! — დამამშვიდა ექთანმა.

— ყველაფერი ვიშოვე, ყველაფერი მივიტანე, და მეცხრე დღეს კონტრაბანდა
საქონელივით ჩამაბარეს მეუღლე.

ახლა იგი მშვენიერად გრძნობს თავს. ლოცავს საავადმყოფოს დარაჯიდან დაწ-
ყებული დირექტორამდე გათავებული ყველას, ტრაბახობს ნათესაებებში და მოყვრებ-
ში, ასეთი და ასეთი ოპერაცია გადავიტანეო.

ერთი უთხარით, თუ ხატრი გაქვთ, ვინ გადაიტანა ოპერაცია მე თუ მაგან.

ეფირი ნარკოზაშვილი.



ნახ. ვ. ქუმბურძისა

— იქნებ ის მაინც გავიხსენოთ, როდის დაიბადა ცნო-
ბილი მწერალი ნიკო ლომოური?
— როგორ, თქვენც დაგავიწყდათ, პატივცემულო ლექ-
ტორო!



ნახ. ჯ. ლალუაში

— დედოფო, ერთხელ მეც დამაჩინე ვიღაცაზე, აჰი მიუხედავად ბაქოშიაინი შენი უფლისთვის მოვლიდაოო!


წამბუკის ზარები

ალბათ გასული წარწერა № 1. გასული ისიც ჩოგორი ჭარიშხლივით შემოიხერხეთ წინა ბაზინდან და ვადომამოადრე თვეწინა სრულად უცხო ყმაწველს სამდ-სამი კაპიკი და მხოლოე გადგიკითო.

უზომოდ ბედნიერი ვიყავი მაშინ, დიხანს მეჭირა ხელში თორისის სამკა-პიანი და ვგრძნობდი თვეწინ ნატფი ხელისის სითვისი.

„შეიძინეთ ბილთები!“ — ეილი კონ-დუქტორი.

თვეწ მოიხდეთ ჩემსენ და თვეწინ თვალთგან ნასოლო ისიარ შეტურა ჩემს გულში.



ოო, რამდინ რამ შეძლება თვალბს. თვეწ მე უტებ გამოთბეს ძარღვში შეციბული სისხლ და დამეფრეთე ყველა, მათ შორის კონდუქტორიც. თვეწ კიდევ შემობედით მერე ყვე-ლოვეერი მიხანს უტებ. ჩემი სახეშიო განწყობილუბის ცხა გამოინდენე პირ-ქუსში დღეობდით. მოდა ის, რასაც წი-ნაწერი ვგრძნობდი, ველოდი.

დიახ, რამდენდაც ტრაგიკული არ უნდა ყოფილიყო ჩემ ბებოვის, ფაქტი

რჩება ფაქტად: მე უნა ჩავსულთვიე შემდეგ განგრებასე.

„წაიწიეთ წინ, წაიწიეთ წინ!“ — ეი-ლი კონდუქტორი და მერე მხა ველს კი-პობდა პირაღუსილი ნახეიით.

ჩემ წამბოფრე წინა ხა ჩვენ გრამა-ნენთის პირისპირ აღმოხდენით, ერთ წამს შემხედე შენ.

— ჩაიხანო?! — მე კითხეობდენ შე-ნი თვალბი.

— რა ექნა, თუ განგრებასთა ვცხოვრობ.

მე ვგრძნობდი აშკარად, რომ არ შე-ძლებოდა ჩენი განგრება ასე უბ-

რად. მე ვგრძნობდი რომ რაღაც ე-ღლით ჩემგან, რაიკით თვით ეზრებოდი ვეინე...

და მე ვამბობდით ბებოვის შექნი-ლი ტკმაწილი ბილით.


და მე ჩავდილი...

დიხანს მეჭირა ხელში თვეწინ მერე გაღმობილუბი სამკაპიანი და ვგრძნო-ბდი თვეწინ ნატფი ხელისის სითვისი.

ნ. აბაზიანი

სიხვილი კახი

ნახ. შ. აბაზიანი



მეიდა, რაგორი პატივისცე-მა იცხადება ცოლს, დაპირა ხე-ლის გულზე დამსწრე გატარებო და უსრულესს კიდეს!

ბაბუნაშაჰი ბიბი

— გოჭი მოაქეთ, გოჭი მოაქეთ. — შეზოგვესმა ჩურჩული და წეს-სავლელ წამობილი სტუმრბე ამ სიტყვისს ძალამ კვლავ და-გებარუნა მაგიდასთან. მასხმბელი იმერული გველდობინებით აქბე-და თავის თორისს და მასში შემე-ვარ გოჭს. მის სიტყვისს უსრულ-ელ დასტურბდა კბილბდარე-ული შებარაული გოჭიც.

ჩემმა მეგობარმა მიხელობა თა-ვე საუკეთესო სიტყვბი იგრინი და საუკეთესო დანით, რომელსაც მე მდამ დასაბურბს, ისე ისტბტუ-რად დანაწარუნა ღორთა იჯა-ნის უფლით დაღმულები წვე-რი, რომ ცხოველითა ახაბობის ცილნაში მზალი შეფასება მი-ილი.

ყველაზე ადრე თამადმ შენიშ-ნა, რომ მაგიდაზე არ იყო გოჭის ხორცის დამატბობელი მევე ტყემალი.

— ქალბატონო! — შორიდებით მიმართა მან დისასხლს. — ამ-ბობენ, იმერტბში წილს ტყემლის კარგი მოსავალი იყო.

— ღმერთო კი მომკალი, ტყემა-ლი არ დამეჭრებო! — წამობიანა დისასხლს და თავის ახაბობი-ლობალ დიდბტა: — ისე, ბატო-ნი, აქურა გოჭს ტყემლი არც კე ქირიდება, ტყემლით არის გა-ზრდილი.

ღამით ახარიონი

— აბა, კარგი ღვინო, ახალი მარ-ის სიხვილი აგრონი, შავიკითი ტკბილი და სპირტივით მავარი, — გაკვეთილი ველოდობინებით მაზარ-მა მეჭრებოდა იმევესა.

უცხვი სახელობის მოვარულბე-მა საუკეთესო დღეობით მოატყუეს და აგრონიის მიაჭურეს, რაც ახა-ლი მარცის ღვინო მოვაჭურეს ხე-ლი დუკაქობს, მხოლოდ მაშინდა ჰკბიხეს: — მეგობარო, ერთი ისიც აყვინსენი, რომელი კბისს ვახს ყურძინიდან მზალიდა ასეთი ღვი-ნო?

— შე კაცო, მაგ არ იციო? — ღვინის სახელი თვლიონ ლაზარა-სობი მის დღ-მამბე.

— აჰა — აგროს ნოშენს, რიო-ნი ქე იციო, მდინარის სახელია, აგროს მაჭარას და რიონის წყლის შეფერბა იმევეს ახალი მარცის ღვინობს, რომელი თვეწინათაში მუტტბრების სასაბუცეუმლოდ აბარიონი დაგაჭრებო.


5. ნიკრიძე

ვსხვეჯარიტ ნერაჲე აჩრებისა

რეალისტიკური რეალისტიკური

ახალგაზრდა ინჟინერი სამუშაოზე მოე-წყო მართალი თამბუგობა დიდი არ ჰქონ-და. მაგრამ ყოველთვის თამბუგობდ და უკრებიტბილდ ასრულუნდა თავის მოვალე-ობას.

ერთხელ გაბარებულ მიიჭრა ამხანაგთან. — გაიქე? — სულმოთქმეზილ მიხახლო. — რა? — ჩვენი მშართველი მოუხსნიათ. — მერე?! — მერე და მშართველის ადგილას ჩვენს დირექტორს გადაუყვანენ, დირექტორის ადგი-ლას — შიადგოლს, მის ადგილს შიადგოლს ინ-ჟინერი დაიკავებს, შიადგოლს ინჟინრის ადგი-ლას სამაჭრის ისტატუს დანიშნვენ, ისტატუს ადგილას — ველოტბტს, ველოტბტის ადგილ-ზე კი მე დამაჩინაობეიენე...



3 შალენი.

უცხოები არ ვეგონით, ჩვენც იმდენივეს ვართ არაბობდით და ფილანდელს, რაშინასა ბა-რინოს, მკვდრის და დღე მკვდრის პირობე-ტა, მოსამუდლას და ვაფინბს და სხვათა და სხვათა ქუჩების ხინდალს გასადარა. ჩვენი ხა-ლინ ვართ და ჩვენე კედი ცხვრების თავზე.

ჰოდა, მიიღეს რა უფლითაც შედეგისაში, 1956 წელს მასობრივი ბიბლიოტეკა აგებინეს. ისე გადგამარ ამ ამბავს, რომ ქუჩების მზალი ა-ყვრით, მაგრამ, დამო უბედურბებს, ქუჩები ძირს არც კი იდენენ ხამოცდელი, რომ ჩვენს სისარულს მალი ერთის ხინდით მიიღო. იგი პატარა ვაჩოთ-ხი დღემუხ მამლიოტყას, რომ, ერთად ხუთი წყოთ-ხელი რომ შეეფასე, ხუთისს ცუბისდაც შეხეთე-ბა ხელე.



— ჩემბედა მასობრივი ბიბლიოტეკა წყულისი ქუჩის უფი საცობითი წყობი მზე და ემუხტენს წყობისდებეტი, მაგრამ ვიწრე იყო იგი და მინა მინაშრომბებს სასამართლოდ მიიბოძეს: ზედ-მართი ორკბობით, გადმოხეტილ მიწულების თვა-ლით, უფლი ჩვენს მდგომარბში და ასეთ ხინაში შეეყვანეთ, რომ წიკბებში, შემობედენ უფლით და ჩვენ წინგების ცაქცაში.

და, თვეწა რომ ხსენია, მათ მათ დარჩ მხად მღა-დებლობა უღანისა მინა? სხვენი არ მიიბეცდით, რიგორ ვეცადებოდა.

თხოვან და შექნებარება ერთი იყო, აჭრადვირი-დან — ტრეტბი, კბილის ქაჩე, მჭეტი ფართობის მჭედი ახალგაზრდობისდებელი მან მანაჩრე ბიბლიო-თეკის და მშობლობითი, უწრეტი.

თეკის და მშობლობითი ქაჩე-მანაშრომბებს თითქმ სხვეტბტი სასტრუქ მართ-ებს იგი.

გაღმობდენ თანამშრომლები, გაღმობდეს წი-გნბი, ვერ 35 დამსწრე ფოლიანტი, ატბეს ბტებს და ვერას დასაქმეს, გაიყო მანგრედ მხელი სა-ცოი, საკბიბობელი დარჩა, დრეფანი და არ და-გობილი მეთივეუბისათვის.

გაღმდენ თანამშრომლები, ყველას გაგონია, რომ ტრანში თვითია, მაგრამ ახლა, რაღაც, ვერ გამო-დიდა ასე ფართობი მტბი იყო და ნაღებს ფარ-თობში ნაწყობა წინგის მჭეტი, აჭეტი, მაგრამ, ვერ იქნა, და ვერ ჩაიჭეტი მტბ ფართობში.

მიიღეს თითი მუხლზე, დაგმობდენ ფილითი-ფიურად და აღბრუნა, რომ სასამრტელი ფართობი აქცულთი ნაღებს მჭეტი ამ ხანას.

— სასამრტელი თბლად ვიწმბითო, — იწვე-ე შეს აცო.

ჰოდა, აქვე უბნითი მტბმა, გადგანილი იყო ცენტრალური გაბობის მჭელი, დაღმულები იყო რადიოტბრბი, არბებდა დღეობი, მაგრამ მიიღა სახანბო უმბობობის მჭეტივითი რბისიანად — აქ ცეცხლის დანახა არც და არ შეიძლება და, ვაი თვეწინ მეც დღეს, თუ დაინთობათ.

სხვად ახლა წინგებზე ხელს აჭრებ გამოცდებ-ბას ვერნახს, დამა მასობრივი ბიბლიოტეკა თანამ-შრომლობისათვის, მაგრამ დასტურდა მეთივეუბე-ბისათვის და, რომელიღმენ მასობრივი ბიბლიოტე-კის მეთივეუბა მტბმა, რომლის გახანბება ბიბ-ლიოტეკა.



ნახ. ნ. მალაზიანი

— როგორ მიყვარს, უფლილომოს სახიბოო!
— შე ქალო, უფლილომოს მტბი რა მოთხოვბება?

ბაბო.

საქსეპი


მზის დარტყმა — სრულდება თერთმეტმეტრიან დარტყმაზე ზუსტად.

ნეილონი — რა გარანტია გვაქვს, რომ იგი პირველად ადამს და ევას არ ეცვა?

თოვლი — ზამთრის პალტოების არ იყოს, გაზაფხულზე ჩნდება.

ტელეფონი — დეფექტურია. არ იძლევა ფიზიკური შეურაცხყოფის საშუალებას.

შეადგინა ჩარლიმ.



— არაფერი მესმის, რატომ მხსნით სამუშაოდან?
— სწორედ მაგითომ!

მოუშორებელი პრეტია

რა თქმა უნდა, კარგია შებოლილი ლორი, კუბატი და სულუგუნი.

მაგრამ არ ვარგა შებოლილი თეთრეული, შებოლილი დიასახლისი და, მით უმეტეს, თოვლივით ქათქათა კაბაში გამოპრანჭულ ქალიშვილის ბროლის გულ-მკერდს მურის ფიფქები რომ გადაეფინება და ბოლის გულ-მკერდად უქცევს. ისე რომ, შებოლვა ვარგა კიდეც და არ ვარგა კიდეც.

ეს, რა თქმა უნდა, ზებირად იციან არსენას და ბესიკის ქუჩის კუთხეშიაც, იციან და მერე როგორ.

სწორედ იქაა ქართული პურის საცხობი თორნე. თორნეც კარგია და ქართული პურიც. მაგრამ არ ვარგა თორნეს თავზე ცხოვრება, ერთია, და — დაგცხება, მეორეა და — შეიბოლება, გაიმურები, ხმაური გაგაყრუებს, ტანიც გაგიშავდება და ლოგინიც, კედლებიც გაგემურება და სარეცხიც.

გზა, რა თქმა უნდა, ყველგან არის, მაგრამ ამ სახლის მცხოვრებლებს სხვა გზა არა აქვთ, უნდათ თუ არ უნდათ, რა თქმა უნდა, უნდა

იცხოვრონ ამ სახლში. ჰო-და, ცხოვრობენ კიდეც. ცხოვრობენ და ჩივიან, ჩივიან და ცხოვრობენ. ცხოვრობენ, მაგრამ, როგორც ყველას, უნდათ იცხოვრონ უჩივლელად, შეუშურადად და შეუბოლავად. ჰოდა,

ამიტომ ჩივიან...

შეაწუხეს სხვადასხვა ორგანიზაციები და თბილპურკომბინატი, შეეწუხა და იმიტომ გაწუხებთ, შეწუხდით და დაგვეხმარეთო.

კარგია ქართული პური და საჭიროა თორნეც, საჭიროა სხვაგანაც და ამ უბანშიც, მაგრამ პური ისე უნდა ცხვებოდეს, რომ მცხოვრებლები არ შეწუხდნენ.

არის ამ უბანში ადგილი და ისიც განა ერთი და ორი, სადაც შეიძლება გადატანილ იქნეს თორნე. დორნისთვისაც კარგია, ლაღედ იქნება, ხაბაზათვისაც და მცხოვრებლებისთვისაც. არავინ შეიბოლება, არავინ გაიმურება, ერთი სიტყვით, არავინ შეწუხდება.

მაგრამ ამისათვის საჭიროა თავი შეიწუხონ იმ მუშაკებმა, რომელთაც ეს ეხებათ.

თუმცა... აგერ ათი წელია ჩივიან მცხოვრებლები და ჯერ თავს არავინ იწუხებს. თორნე კი ბოლავს და იბოლებიან მცხოვრებლები ამ მოუშორებელი ბოლისაგან და ყოველივე ამას ბოლო არ უჩანს.



იმ დამეს შევცოდე და ცოტა წავიჭიე. თერთმეტი საათი იქნებოდა, შინსაკენ რომ გავეყე. მივდივარ, მაგრამ ვაი ამ სიარულს, ვბარბაცებ. ტაქსით წასვლა გადავწყვიტე. აგერ ტაქსიც. ხელი ავეწვიე. მანქანა მოშორებით შეჩერდა. გავიქეცი, არავინ და-მასწროს-მეთქი.

— გარაჟში მივდივარ, მეგობარო.. — თავაზიანად მითხრა შოფერიმა.

რა მეთქმოდა, სხვა ტაქსის გამოჩენას დაველოდე. ლოდინი ხანმოკლე აღმოჩნდა. ასლა უფრო შორს გაჩერდა მანქანა და ისევ იმ მოსაზრებით, რომ არავის დაესწრო, გავიქეცი.

— გარაჟში მივდივარ, თუ საბურთალოზე ცხოვრობ, სიამოვნებით. — უფრო თავაზიანად მომხართა შოფერიმა, მაგრამ საბურთალოზე არ ვცხოვრობ და სასაქონლოდ ხომ არ წავიდოდი.

კიდეც გამოჩნდა ტაქსი.

— სიუ!.. — გაუბახე და გავეციდე მანქანას, მაგრამ შოფერი ტაქსის გაჩერებას არ აპირებდა.


ეს ლაზათიანად შემთვრალი, შუახნის კაცი ბევრ ტაქსს გავეციდე იმ დამით, მაგრამ ყველა შოფერს მხოლოდ „გარაჟი“ და „საბურთალო“ ეკერა პირზე. გადაწყდა, ბარბაცით უნდა გამეგლო მანძილი სახლამდე.

უცებ მოშორებით ტაქსის ნაცნობი მწვანე შუქი შეგნიშნა: მანქანა იდგა. მოვიკრიბე ძალ-ღონე და გავიქეცი. ის იყო, დავაპირე მანქანის კარის გაღება, რომ ქალის ხმა შემომგემა:

— სად მიხვალ, კაცო!..

მივიხედე და ელდა მეცა. საკუთარი სახლის ღია ფანჯრიდან საკუთარი ცოლი გადმომყურებდა.

ზოთი თონიაზვილი.



საბავშვო ნიანგი

ქმაო ნიანგო

შენზე ცოტათი გულნატკენი ვარ. აზია არ დავრჩა უნახავი და ევროპა, ჩვენში კი არ იქნა თქვენი მობრძანება. თუ ძმა ხარ, ჩვენც გვიწვიე. ვიდრე წყალაფორეთიდან კიცხამდე და შემდეგ ზესტაფონამდე მიაღწევდე, გზადაგზა უამრავი შთაბეჭდილება დაგიხვავდება: და თავგადასავლებიც გადაგხდება. მართალია, ამ გზაზე ვერ ნახავ ბრუკლინის დაკიდებულ ხიდს, სამაგიეროდ, ჩაკიდებულ ხიდებს ნახავ და ესეც ხომ საინტერესოა ჟურნალისტიკათვის. მერე თქვენს შთაბეჭდილებებში აღწერთ, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ამ გზაზე იყო ორი ხიდი. ხიდებს თავი მოსწონდათ და, ამყობდნენ, რომ საკუთარი მხრებით გადაჰყავდათ მანქანები და ადამიანები. მაგრამ ერთ დღეს ორივე ხიდი ერთად გამოეხალმა წუთისოფელს. ჩაინგრა ერთი და უნუგეშო მიჯნურივით მიჰყვა მეორე. მას შემდეგ მგზავრები ხიდის მშენებლებს ლანძღავენ, მშენებლები კი მძიმე ტვირთს აბრალებენ ხიდების დანგრევას. არის ბჭობა, თუ ვინ არის დამნაშავე. ხიდებისა და მგზავრების მშველელი კი არსად ჩანს.

თუ კარგი ამინდია, მოგეცათ სიკეთე, ხალხი „იოლად“ გადის. მიხრიგინებს მანქანა წყალში. შარვალაკარწახებული ხალხი გადის და გამოდის. მაგრამ წყალმაც ხომ იცის გულის მოსვლა? ადიდდება, გადაირევა და მაშინ უნდა ნახოთ, არც კაცს უშვებს და არც მანქანას. არის წივილ-კივილი. დაცურავენ ნავეები, ტივები. აქაურობა ნავსადგურსა ჰგავს.

ძმაო ნიანგო! ჩემი თუ არა გჯერა, ჩამოდი, საკუთარი თვალთ ნახე ჩაკიდებული ხიდები და მერე გვიშუამდგომლე ვისთანაც ჯერ არს, გაგვიმრთელონ ჩატეხილი ხიდები.

წყალაფორეთელი

ქვირფასო ნიანგო!

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოში ჰავას და ნიანგს კაციც უხარებია და ხეც. დიდსა და პატარას თურაშაული ვაშლივით დაბრაწვია ლოყები. მაგრამ ადამიანი რკინა ხომ არ არის, ხანდახან კაცს თავიც ასტკივდება და კუჭიც.

თუ თავი გეტკინა, კომბოსტოს ფოთოლი დაიდე და მოგიჩეხა. სხვა სახის დაავადებანი არხილოში აკრძალულია. აქ, ავადმყოფობის უფლება, განურჩევლად სქესისა და თანამდებობისა, არავის აქვს. მართალია შესანიშნავი საავადმყოფო ამშვენებს სოფელს, მაგრამ რად გინდა? გინდ იქ წოლილხარ და გინდ სახლში, მკურნალი არც აქაა და არც იქ.

ექიმი...

კითხულობენ სოფლელები.

მოვა ექიმი...

იქნება ექიმი...

— ცოტა მოითმინეთ, ხალხო, და მობრძანდება ექიმი, — ჰპირდებიან არხილოელებს თავკაცები. რა ხანია ჰპირდებიან და საქმეს კი პირი არ უჩანს. სხვა რა გზა აქვთ არხილოელებს? ითმენენ. თავს უვლიან — ექიმის მოსვლამდე თითი არ წამოგეტკივდესო.

ჰოდა, დაიჯერეთ, არხილოელებო, მოითმინეთ, ეცადეთ, ექიმის მოსვლამდე არაფერი გეტკინოთ.

არხილოელი.



ნ.ბ. გ. ფირცხალავასი

მობრძანდით, თქვენი ადგილია!

43
1/11
62

სხილის ბაჭვი

ერთმან ერთი

მხარზე ხელის გადახვევით ჩატარა ერთმან ერთი, ხალხნო, ჰკითხეთ ამ თავხედებს, — რა არიან ერთმანეთის?!

მათ მაგიერ მე მრცხვენია, ვეღარ დავალ ამაყადო, დავიჯერო, ასეთ ქალ-ვაჟს პატრონები არა ჰყავთო?!

იცავენ

„გაუფრთხილდით ნარგავებს!“ — დაწერეს ფიცარზე, მიაჭედეს საწყალ ხეს, თითქოს, ამით იცავენ!

ზ. ღვალშიე



ნახ. ლ. ფაქელნიშვილისა



შეჭიბრება მართონულ რბენაში.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ნ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჰელიძე.

საქ. კა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49

ბელმოწ. დასაბ. 16/I-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ, პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შტა. № 21, უფ. 02410 ტირაჟი 40000

